

ქალაქ ბოლნისში, შპს "აგროცენტრი ბოლნისი"-ს შენობის მოწყობის
სამუშაოების (საქართველოს მთავრობასა და ევროპის გაერთიანებულ კომისიას შორის 2007
წლის 18 ივნისს ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმების შესაბამისად გამოყოფილი გრანტის ფარგლებში
(მერები ეკონომიკური ზრდისთვის M4EG დაფინანსებული პროექტის „ბოლნისში ბიზნეს
საქმიანობისთვის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“) შესყიდვისათვის
ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბოლნისი

12 მარტი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ვალენტინა ნავერიანი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

კონსტანტინე კორძაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

პაპუნა მუშუდიანი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ოთარ ხუტიაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

გიორგი მათეშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ნინო ელიკაშვილი სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ქალაქ ბოლნისში, შპს "აგროცენტრი ბოლნისი"-ს შენობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

განიხილეს:

ქალაქ ბოლნისში, შპს "აგროცენტრი ბოლნისი"-ს შენობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვისათვის მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია. რის შედეგადაც:

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია 2019 წლის 12 მარტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1 -ის დანართის პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს **55000 ლარი**, დ.დ.გ-ს გარეშე.
3. "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "3ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს **550 ლარი**.

4. "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს/ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით NAT.
5. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს მოახდინოს ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე, ელექტრონული ტენდერის განცხადების განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ოქმისა და ოქმის დანართში ასახული პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარე:

/ვ. ნავერიანი/

კომისიის წევრი:

/ვ. კორძაძე/

კომისიის წევრი:

/პ. მუშკუდიანი/

კომისიის წევრი:

/ო. ხუტიაშვილი/

კომისიის წევრი:

/გ. მათეშვილი/

აპარატის წევრი:

/ნ. ელიკაშვილი/